ტექნიკური ინფორმაცია N. 550

Capadecor® DecoLasur Matt

მქრქალი საღებავი/ლაზური, დისპერსიულ საფუძველზე, შიდა სამუშაოებისთვის.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები	დეკორატიული, მიმზიდველი კედლის ლაზური ინტერიერის კედლებზე გამოსაყენებლად. გამოიყენება გლუვ ზედაპირებზე და ბათქაშებზე. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: უხეში ხის და ბოჭკოვანი მინის ზედაპირებზე.
თვისებები	■ მინიმალური ემისიის მქონე, გამხსნელების გარეშე და არაპლასტიკური ■ სველი მოხეხვის კლასი 2 ■ დიფუზიური ■ მაღალი ადჰეზიის უნარი ■ წყლის შემცველი სადეზინფექციო საშუალებების მიმართ მედეგი
მასალის შემკვრელი	სინთეტიკურ - ფისოვანი დისპერსია/ემულსია, გერმანული სტანდარტის DIN 55945 მიხედვით.
შეფუთვა	2.5 ლ, 5 ლ, 10 ლ.
ფერი	თეთრი - გამჭირვალე შეფერადება შესაძლებელია: ColorExpress-სისტემით და ასევე, CaparolColor Vollton-ის ხელის კოლორანტებით. *მითითება:* კოლორანტები და პასტისებრი საღებავები ორგანული პიგმენტებით, არ უფერულდებიან მაქსიმალურად ხანგრძლივი დროის მანძილზე, თუმცა მათ აქვთ შეზღუდული ულტრაიისფერი სხივების (UV) მიმართ მედეგობა. საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ კაპაროლს, კონსულტაციისთვის.
სიპიალის ხარისხი	მქრქალი
შენახვის პირობები	შეინახეთ გრილ, ყინვისგან დაცულ ადგილას. შეინახეთ მჭიდროდ დახურულ შეფუთვაში.
ტექნიკური მარამეტრები	■ სიმკვრივე: დაახლ. 1.10 გ/სმ³
მხარდამჭერი პროდუქტები	■ Capadecor MultiStruktur ■ Capadecor DecoGrund ■ Capaver FantasticFleece

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია N. 606 - ის მიხედვით.

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
+	+	○	–	–
(–) არ არის შესაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი				

CAPAROL

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები	ზედაპირი უნდა იყოს სუფთა, მზიდუნარიანი და თავისუფალი დამაცალკევებელი ნივთიერებებისაგან.
ზედაპირის მომზადება	ზედაპირის მომზადების წესი დამოკიდებულია არსებულ ზედაპირზე და მის ბუნებაზე. მიჰყევით შესაბამის ტექნიკურ ინფორმაციაში მოცემულ ინსტრუქციას. **მითითება:** კედლის ლაზური არის გამჭვირვალე ნივთიერება, რომლის გამოყენებისას ჩანს ზედაპირის ფერი და სტრუქტურა. ასევე მასზე გავლენას ახდენს ზედაპირის თვისებები, ფერის ტონი, შემწოვიანობის უნარი, ლაზურის გაზავების ხარისხი და ფენის სისქე. გამოყენებული ხელსაწყოები და ხელოსნის ინდივიდუალური ხელწერა, განსაზღვრავს საბოლოო შედეგს. ამიტომ საცდელი ფენის დატანა აუცილებელია. კონტრასტი იქნება მაღალი, თუ ღია ფერის შუალედურ ფენაზე დატანილი ლაზურის ფერის ტონი მუქი იქნება.
დატანის მეთოდი	DecoLasur Matt- ის დატანა შესაძლებელია საღებავის ფუნჯის გამოყენებით ან ბუნებრივი ღრუბელით. არჩევანი დამოკიდებულია სასურველი დეკორატიული ზედაპირისათვის, საჭირო ტექნოლოგიაზე.
დაფარვის სტრუქტურა	**შუალედური ფენა:** Caparol-Haftgrund, Putzgrund 610 ან~ MultiStrukturStyle. მქრქალი დისპერსიული საღებავები, მათი შემწოვიანობის უნარის გამო აქვთ შეზღუდული გამოყენების არეალი. შუალედური ლაზურის ფენის დატანის შემდგომ, ზედაპირებზე არ უნდა გამოიკვეთოს ფერთა კონტრასტი. **დამასრულებელი ფენა:** 1–3 ფენა DecoLasur Matt–ი, ColorExpress-ის მექანიკური მეთოდით შეფერადებული ან CaparolColor-ის კოლორანტების გამოყენებით - ხელით კოლირებული. DecoLasur Matt-ის გაზავება შესაძლებელია, არაუმეტეს 20% წყლით.
ხარჯი	დაახლ. 80-100 მლ/მ2 ერთ ფენაზე. ზედაპირის შეწოვის უნარის და სტრუქტურის მიხედვით, შესაძლოა ხარჯი გაიზარდოს.
გამოყენების პირობები	**მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში:** მინიმალური ტემპერატურა: +5 C.
შრობის დრო	ფენებს შორის დაიცავით შრობის 12 საათიანი შუალედი.
ხელსაწყოების წმენდა	სამუშაოების დასრულებისთანავე გაირეცხოს წყლით.
შენიშვნა	არ დაიტანოთ მასალა ჰორიზონტალურ ზედაპირებზე, რომლებიც ექვემდებარებიან ტენიანობის ან წყლის დატვირთვას. ფუნჯის გამოყენება რეკომენდირებულია საგრუნტი და შუალედური ფენების წასმისას, რათა თავიდან აიცილოთ სამღებრო გორგოლაჭის კვალი.

მითითებები

უსაფრთხოების ნორმები	მოარიდეთ ბავშვებს! არ ჭამოთ, დალიოთ ან მოწიოთ პროდუქტთან მუშაობის დროს. დამუშავების და შრობის პროცესში იზრუნეთ შესაბამის განიავებაზე. კანთან ან თვალებთან კონტაქტისას დაუყოვნებლივ დაიბანეთ წყლით. არ დაუშვათ კანალიზაციაში, წყალსაცავებში ან ნიადაგში მოხვედრა. შეიცავს: 1,2-ბენზიზოთიაზოლ-3(2H)-ონი, 2-მეთილ-2ჰიზოთიაზოლ-3-ონი. შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას როგორც ლაქების ან საღებავის ნაშთი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც გამხმარი საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.
VOC (აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)	პროდუქტის კატეგორია (Kat. A/a): 30 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქს. 1 გ/ლ VOC -ს.
პროდუქტის კოდი	M-DF01 (Germany)
შემადგენლობა	პოლივინილაცეტატის ფისი, სილიკატები, კალციუმის კარბონატი, პარაფინის ცვილი, წყალი, დანამატები, კონსერვანტი (მეთილ-/ბენზიზოთიაზოლინონი).

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge